საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 410-03
11/02/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების საგრანტო კონკურსის - Nova Idea 2020-ის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების'' მე-19 მუხლის პირველი პუნქტის და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ”თ” ქვეპუნქტის საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით ანა კვანჭილაშვილის 2020 წლის 10 თებერვლის N2049-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2020 წლის 11 თებერვლიდან გამოცხადდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების საგრანტო კონკურსი - Nova Idea 2020, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა საკუთარი იდეები აქციონ რეალობად და ამისათვის საჭირო დაფინანსება უნივერსიტეტიდან მოიპოვონ.
2. Nova Idea 2020-ის ფარგლებში შემოსული სტუდენტური პროექტების განსახილველად შეიქმნას სპეციალურად საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საგრანტო კონკურსის საბჭო, რომელიც აღნიშნულ პროექტებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და თემატიკიდან გამომდინარე - სხვადასხვა დარგის მკვლევარებთან ერთად განიხილავს. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ანა კვანჭილაშვილს 1 თვის ვადაში წარმოადგინოს საგრანტო კონკურსის საბჭოს შემადგენლობა დასამტკიცებლად.
3. სტუდენტების წარმოდგენილი განაცხადები ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კატეგორია მაინც უნდა განეკუთვნებოდეს:
   ა) სეზონური გასვლითი საგანმანათლებლო-კულტურული ბანაკების/სკოლების ორგანიზება (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, განხორციელების პერიოდი არაუადრეს 2020 წლის ივლისისა);
   ბ) ინოვაციური ტექნოლოგიური პროექტების განხორციელება;

გ) თემატიკა, რომელიც განათლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებს აერთიანებს.

4. სტუდენტების წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს და გამართულად უნდა იყოს შედგენილი.
5. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს (არაუმეტეს 4 სტუდენტის შემადგენლობით).
6. სტუდენტური განაცხადების პროექტების გადმოგზავნის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 11 თებერვლიდან 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით. გამარჯვებული პროექტები გამოვლინდება ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის.
7. იმისთვის, რათა პირმა მონაწილეობა მიიღოს პროექტების დაფინანსების საგრანტო კონკურსში Nova Idea 2020, მან საჭიროა შეავსოს:

   ა) ელექტრონული აპლიკაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე **http://bit.do/fsnZS ;**

   ბ) საპროექტო განაცხადის ფორმა;

   გ) საპროექტო განაცხადის ფორმა (იხ. დანართი).
8. აპლიკაციის შევსება შესაძლებელია მხოლოდ ილიაუნის კორპორატიული ელექტრონული მისამართიდან (@iliauni.edu.ge).
9. ილიაუნის სტუდენტური პროექტების დაფინანსების საგრანტო კონკურსში Nova Idea 2020 მონაწილეობის მსურველებს შეეძლებათ წინასწარი დაჯავშნის პრინციპით მიიღონ კონსულტაცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან. კონსულტაციის დაჯავშნა მოხდება ელექტრონულად ბმულზე: **http://bit.do/fsn6t .**
10. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ბრძანებით გათვალისწინებული ტექსტის განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და პროცესის ორგანიზება.
11. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძვანელის მოადგილეს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით ანა კვანჭილაშვილს.
12. დაევალოს კანცელარიას, ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი